

შპს "ინტელკომ ჯგუფი"

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის, 31 დეკემბრის მდგომარეობით

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

თანხები მოცემულია ლარებში და დამრგვალებულია ლარის სიზუსტით

	31 დეკემბერი	31 დეკემბერი (კორექტირებული*)	31 დეკემბერი
	2021 წ.	2020 წ.	2019 წ.
აქტივები			
მიმდინარე აქტივები			
ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტი	565 650	1 359 255	750 966
მარაგები	2 148 647	1 832 833	2 518 476
გადახდილი ავანსები	1 314 561	480 053	162 421
სავაჭრო მოთხოვნები	384 737	385 525	422 724
წინასწარ გადახდილი გადასახადები	0	59 990	148 427
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	10 679	30 030	38 988
მოკლევადიანი ინვესტიციები	0	0	400 000
სულ მიმდინარე აქტივები	4 424 274	4 147 686	4 442 002
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	3 490 014	2 472 244	1 520 507
არამატერიალური აქტივები	4 368	4 534	4 699
ინვესტიციები შვილობილ საწარმოებში	0	0	0
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში	186 250	186 250	257 500
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	0	0
სულ გრძელვადიანი აქტივები	3 680 632	2 663 028	1 782 706
სულ აქტივები	8 104 906	6 810 714	6 224 708
მიმდინარე ვალდებულებები			
ვალდებულებები მომწოდებლების მიმართ	236 878	220 243	633 662
მიღებული ავანსები	39 292	35 703	129 149
მოკლევადიანი სესხები	386 369	307 802	339 026
საგადასახადო ვალდებულებები	19 657	0	0
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	289 258	338 858	323 786
სულ მიმდინარე ვალდებულებები	971 454	902 606	1 425 623
გრძელვადიანი ვალდებულებები	0	0	0
გრძელვადიანი სესხები	305 878	0	0
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	305 878	0	0
სულ ვალდებულებები	1 277 332	902 606	1 425 623
კაპიტალი	0	0	0
საწესდებო კაპიტალი	5 810	5 810	5 810
გაუნაწილებელი მოგება	6 821 764	5 902 298	4 793 275
სულ კაპიტალი	6 827 574	5 908 108	4 799 085
მათ შორის:			
საწარმოს მფლობელების კაპიტალი	6 816 013	5 883 835	4 762 540
არამაკონტროლებელი წილის მფლობელთა კაპიტალი	11 561	24 273	36 545
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	8 104 906	6 810 714	6 224 708

მოგება-ზარალის და სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება 2021წ. 31 დეკემბერს
დასრულებული წლისთვის

თანხები მოცემულია ლარებში და დამრგვალებულია ლარის სიზუსტით

	2021 წ.	2020 წ.
ამონაგები	10 376 618	10 404 299
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	(7 862 340)	(7 896 796)
საერთო მოგება	2 514 278	2 507 503
შრომის ანაზღაურება	(1 038 253)	(883 165)
იჯარა	(171 698)	(138 545)
მარკეტინგული ხარჯები	(67 634)	(70 423)
ცვეთა და ამორტიზაცია	(34 194)	(32 933)
სხვა საოპერაციო ხარჯები	(82 529)	(143 821)
საოპერაციო მოგება	1 119 970	1 238 616
საპროცენტო ხარჯები	(29 503)	(31 637)
საპროცენტო შემოსავლები	56 961	67 695
საკურსო სხვაობა	(30 349)	(28 208)
კონვერტაციის ხარჯები/შემოსავლები	84 813	6 828
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	44 926	100 787
ფინანსური აქტივების გაუფასურება	0	0
მარაგების გაუფასურება	(15 357)	(52 740)
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	(10 700)	(10 010)
მოგება დაბეგვრამდე	1 220 761	1 291 331
მოგების გადასახადი	(1 295)	(2 308)
წმინდა მოგება	1 219 466	1 289 023
სხვა სრული შემოსავალი	0	0
სულ სრული შემოსავალი	1 219 466	1 289 023

მათ შორის:

საწარმოს მფლობელების სრული შემოსავალი	1 232 177	1 301 295
არამაკონტროლებელი წილის მფლობელთა სრული შემოსავალი	(12 711)	(12 272)

შპს ინტელკომ ჯგუფი

დირექტორი ირაკლი ნოზაძე

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება 2021წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
პერიოდის დასაწყისში 01.01.2021	5 810	5 902 298*	5 908 108*
წლის სრული შემოსავალი	-	1 219 466	1 219 466
დივიდენდის განაწილება	-	(300 000)	(300 000)
პერიოდის ბოლოს 31.12.2021	5 810	6 821 764	6 827 574

შპს ინტელკომ ჯგუფი

დირექტორი ირაკლი ნოზაძე

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ინტელკომ ჯგუფი (შემდგომში „კომპანია“) რეგისტრირებულია 2008 წელს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურიდიული ფორმა არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება.

კომპანიის იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი, დიღმის მასივი, V კვ., კორ. #9, ბ.#71

კომპანიის ძირითადი საქმიანობა: საბითუმო ვაჭრობა ტელესაკომუნიკაციო მოწყობილობებით (46522)

კომპანიის დამფუძნებლები:

სერგო ამირგულაშვილი, 01021002625 - 30%

შორენა ებანოიძე, 01032002395 - 1%

ზაზა ძაძამია, 01005001525 - 36%

ზაზა ზვიადაძე, 01006002311 - 1%

თეიმურაზ მექვაბიშვილი, 01019038948 - 10%

ირაკლი ნოზაძე, 01012025354 - 16%

სამსონ ხადური, 59001026106 - 6%

წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს შვილობილ კომპანიას:

დასახელება	წილის ოდენობა შვილობილ კომპანიაში	
	31.12.2021	31.12.2020
შპს "ტრენდსეტი"	70%	70%

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია „მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის“ შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ ჯგუფი განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განავითარონ მისი საქმიანობა. მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაფერისია ჯგუფისთვის.

ჯგუფის საანგარიშო პერიოდი არის კალენდარული წელი, 2021 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

სამუშაო და წარსადგენი ვალუტა

ჯგუფის როგორც სამუშაო, ასევე ფინანსური ანგარშვების წარსადგენი ვალუტაა ქართული ლარი.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოურ ვალუტაში წარმოებული ოპერაციების შედეგად წარმოშობილი არაფულადი მუხლების სამუშაო ვალუტაში გადაყვანა ხდება ოპერაციის თარიღისთვის დადგენილი კურსით. როდესაც ფულადი მუხლები უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციებისაგან წარმოიქმნება, ოპერაციის და საანგარიშსწორებო თარიღებს შორის კურსის ცვლილება წარმოიშობს საკურსო სხვაობას, რომელიც აისახება მოგება-ზარალში "კურსთა შორის სხვაობა"

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები გადაიყვანება ეროვნულ ვალუტაში, ხოლო ოპერაციის და საანგარიშგებო პერიოდის თარიღებს შორის კურსის ცვლილება წარმოიშობს საკურსო სხვაობას, რომელიც აისახება მოგება-ზარალში "კურსთა შორის სხვაობა"

ეროვნული ვალუტის უცხოურ ვალუტაში კონვერტაციისას და პირიქით, ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ და კონვერტაციის კურსებს შორის სხვაობა აისახება მოგება-ზარალის მუხლში "მოგება-ზარალი კონვერტაციის შედეგად"

ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტი

ფულად სახსრებად კლასიფიცირდება ნაღდი ფული, ასევე თანხები მიმდინარე და შემნახველ ანგარიშებზე.

ფულადი სახსრების ექვივალენტად კლასიფიცირდება მოკლევადიანი, მაღალი სიკვდიური ინვესტიციები, ღირებულების დაკარგვის მცირე რისკით, მაგალითად როგორცაა ვადიანი დეპოზიტები 3 თვემდე ვადით ან უფრო გრძელვადიანი დეპოზიტები, თუ ფულის განაღდება შესაძლებელია მისაღები სარგებლის მნიშვნელოვნად შემცირების გარეშე.

მოკლევადიანი ინვესტიციები

მოკლევადიან ინვესტიციებად კლასიფიცირდება მოკლევადიანი დეპოზიტები, 3 თვეზე მეტი და 12 თვეზე ნაკლები ვადით, თუ ფულის განაღდება შესაძლებელია მისაღები სარგებლის მნიშვნელოვნად შემცირებით.

მარაგები

მარაგები აღირიცხება თვითღირებულებით, თუმცა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება იმის შეფასება, გაუფასურებულია თუ არა მისი მარაგი, რაც იმას ნიშნავს, რომ შეუძლებელია მათი საბალანსო ღირებულების სრულად ანაზღაურება (მაგალითად, ეს შეიძლება გამოწვეული იყოს მარაგის დაზიანებით, მისი მოძველებით ან გასაყიდი ფასების დაცემით).

მარაგის გაუფასურების შემთხვევაში, მისი შეფასება ხდება გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასით და აღიარდება გაუფასურების ზარალი.

მოთხოვნების გაუფასურება

მოთხოვნები ძირითადად შედგება მომწოდებლებზე გადახდილი ავანსისგან (გადახდილი ავანსები), საქონლის და მომსახურების მიწოდებიდან წარმოშობილი მოთხოვნებიდან (სავაჭრო მოთხოვნები), მოთხოვნებისგან ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საგადახდო სისტემებისგან (სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები) და გაცემული სესხები.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება იმის გაანალიზება, ხომ არსებობს იმის მტკიცებულებები, რომ შეუძლებელია მოთხოვნების დაკმაყოფილება. ასეთი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, ხდება გაუფასურების ზარალის აღიარება და მოთხოვნების შემცირება გაუფასურების ზარალის ოდენობით.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს შეძენის, ტრანსპორტირების და დადგმის ხარჯებს, რომელსაც აკლდება წრფივი მეთოდით დარიცხული ცვეთა სასარგებლო ექსპლუატაციის ვადის პროპორციულად და გაუფასურების ზარალი.

მიწას ცვეთა არ ერიცხება.

სხვა ძირითადი საშუალებების ჯგუფებზე დადგენილია სასარგებლო ექსპლუატაციის ვადები.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები მოიცავს შეძენილ პროგრამულ უზრუნველყოფებს, მიღებულ სავაჭრო ნიშნებს და პატენტებს.

არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება წრფივი მეთოდით დარიცხული ცვეთა სასარგებლო ექსპლუატაციის ვადის პროპორციულად.

ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში

მეკავშირე საწარმო არის ის საწარმო, რომელზეც ინვესტორს გააჩნია მნიშვნელოვანი გავლენა, რაც გულისხმობს საწარმოს ფინანსური და სამეურნეო პოლიტიკის გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობის უფლებამოსილებას, თუმცა არ გულისხმობს ინვესტორის მიერ ამ პოლიტიკაზე კონტროლის ან ერთობლივი კონტროლის უფლებას.

თუკი ინვესტორს პირდაპირ ან არაპირდაპირ ეკუთვნის მეკავშირე საწარმოში ხმის უფლების 20% ან მეტი, მაშინ მიიჩნევა, რომ ინვესტორს გააჩნია მნიშვნელოვანი გავლენა, თუკი არ არსებობს სხვა დამამტკიცებელი საბუთი იმისა, რომ ეს არ შეესაბამება სინამდვილეს.

ჯგუფი ინვესტიციებს მეკავშირე საწარმოებში აღრიცხავს თვითღირებულების მოდელით, გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

სესხები

სასესხო აქტივები და ვალდებულებები თავდაპირველად აღირიცხება გარიგების ფასით, ხოლო შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით.

საპროცენტო შემოსავლები და ხარჯები აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აღირიცხება, როგორც ფინანსური შემოსავალი/ხარჯი.

მოკლევადიან სესხებად კლასიფიცირდება მოთხოვნამდე სესხები ან სესხები, რომლის დაფარვის უპირობო ვალდებულება არაუმეტეს 12 თვეა, ხოლო გრძელვადიან სესხებად კლასიფიცირდება ის სესხები, რომლის დაფარვის ვალდებულება 12 თვეს აჭარბებს.

ვალდებულებები მომწოდებლების მიმართ

ვალდებულებები მომწოდებლის მიმართ წარმოიშვება ამ უკანასკლენლოს მიერ საქონლის და/ან მომსახურების მოწოდების შემდეგ, რომელსაც საპროცენტო სარგებელი არ ერიცხება და აღირიცხება გარიგების ფასით.

ამონაგები

საქონლის რეალიზაციიდან ამონაგები აღიარდება მყიდველისთვის საქონლის მიწოდების და საკუთრების უფლების გადაცემის შემდეგ, ხოლო მომსახურების გაწევიდან ამონაგები აღიარდება მომსახურების გაწევის შემდეგ, თუკი მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა.

ამონაგების აღიარება ხდება უკვე მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით, დღგ-ს გარეშე.

იჯარა

ჯგუფს არ გააჩნია ფინანსური იჯარის ოპერაციები, ხოლო ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში არსებული საიჯარო გადასახდელები აღიარდება წრფივი მეთოდით იჯარის ვადის განმავლობაში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები გულისხმობს საწარმოს მიერ გაცემულ ყველა სახის ანაზღაურებას, დაქირავებულ პირთა, მათ შორის დირექტორებისა და სხვა ხელმძღვანელი პირების მიერ გაწეული მომსახურების სანაცვლოდ. დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები აღირიცხება იმავე პერიოდში, როდესაც დაქირავებულმა პირმა შესაბამისი მომსახურება გასწია;

3. განმარტებითი შენიშვნები

ამონაგები

	2021 წ.
საქონლის რეალიზაციიდან	10 115 222
მომსახურების გაწევიდან	261 396
ამონაგები, სულ	10 404 299

ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტი

	31.12.2020	31.12.2021
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	3 262	355
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	1 312 920	528 606
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	43 073	36 689
სულ	1 359 255	565 650

მარაგები

	31.12.2020	31.12.2021
რეალიზაციისთვის განკუთვნილი საქონელი	1 831 772	2 147 650
საწვავი	1 061	997
სულ	1 832 833	2 148 647

ძირითადი საშუალებები

	მიწა	შენობა - ნაგებობები	ტრანსპორტი	ავეჯი	მანქანა- დანადგარ ები და კომპ. ტექნიკა	მშენებარ ე ნაგებობა	სულ
საწყისი ნაშთი, 31.12.2020	1 313 382	0	41 718	14 045	56 278	1 046 821	2 472 244
შემოსვლა	0	0	0	2 922	43 966	1 005 076	1 051 964
გასვლა	0	0	0	0	0	0	0
ცვეთა პერიოდის განმავლობაში	0	0	(12 080.00)	(3 840.00)	(18 274.00)	0.00	(34 194.00)
საბოლოო ნაშთი, 31.12.2021	1 313 382	0	29 638	13 127	81 970	2 051 897	3 490 014

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური
აქტივები 2021წ.

საწყისი ნაშთი, 31.12.2020	4 534
შემოსვლა	-
გასვლა	-
ცვეთა პერიოდის განმავლობაში	(166)
საბოლოო ნაშთი, 31.12.2021	4 368

გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

ა) საქონლის და მომსახურების რეალიზაცია

	2021 წ.
შვილობილი და მეკავშირე საწარმოები	307 322
უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა	123
სხვა დაკავშირებული მხარეები	-
სულ	308 082

ბ) საქონლის და მომსახურების შეძენა

	2021 წ.
შვილობილი და მეკავშირე საწარმოები	43 177
უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა	-
სხვა დაკავშირებული მხარეები	-
სულ	43 177

გ) სავაჭრო მოთხოვნები

	31.12.2020	31.12.2021
შვილობილი და მეკავშირე საწარმოები	4949	91 286
უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა	-	-
სხვა დაკავშირებული მხარეები	-	-
სულ	4949	91 286

დ) სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

	31.12.2020	31.12.2021
შვილობილი და მეკავშირე საწარმოები	3 803	1 530
უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა	-	-
სხვა დაკავშირებული მხარეები	-	-
სულ	3 574	2 911

ე) მიღებული მოკლევადიანი სესხები

	საწყისი ნაშთი, 31.12.2020	სესხის აღება	კურსთა შორის სხვაობა	სესხის დაფარვა	საბოლოო ნაშთი, 31.12.2021
შვილობილი და მეკავშირე საწარმოები	0	0	0	0	0
უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა	65 532	0	2 908	(68 440)	0
სხვა დაკავშირებული მხარეები	242 270	101 957	32 526	(15 387)	361 366
სულ	307 802	101 957	35 434	(83 827)	361 366

თ) სესხებზე დარიცხული და გაცემული პროცენტები

	საწყისი ნაშთი, 31.12.2020	პროცენტის დარიცხვა	პროცენტის გაცემა	საბოლოო ნაშთი, 31.12.2021
შვილობილი და მეკავშირე საწარმოები	0	0	0	0
უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა	1500	2366	(3 712)	154
სხვა დაკავშირებული მხარეები	4 310	18 785	(18 140)	4 955
სულ	5 810	21 151	0	5 109

ი) დირექტორებსა და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაზე გაცემული ანაზღაურება

	2021 წ.
შრომის ანაზღაურება	331 381
სულ	331 381

4. შეცდომების გასწორება

ეფექტი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშზე:

	ადრე ნაჩვენები	მაკორექტირებელი გატარება	კორექტირებული
31 დეკემბერი, 2020 წ.			
გადახდილი ავანსები	472 979	7 074	480 053
სავაჭრო მოთხოვნები	416 649	(31 124)	385 525
წინასწარ გადახდილი გადასახადები	59 899	91	59 990
ვალდებულებები მომწოდებლების მიმართ	220 248	(5)	220 243
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	335 942	2 916	338 858
მიღებული ავანსები	39 108	(3 405)	35 703
გაუნაწილებელი მოგება	5 906 797	(4 499)	5 902 298
სულ კაპიტალი	5 912 607	(4 499)	5 908 108